საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბირკიანის განძი

ბირკიანის განძი, XVII ს. ვერცხლის მონეტების განძი (21 ეგზ.), აღმოჩენილია 1967 სოფ. ბირკიანში (ახმეტის მუნიციპალიტეტი).

განძი შეიცავს შემდეგ ნომინალებს: ბაზი – 13 ც, მუჰამადი – 6 ც და შაჰი –2 ც მონეტები მოჭრილია ირანის შაჰების სეფი I-ისა (1629 –42) და აბას II-ის (1642–66) სახელით თბილისის, ზაგემის, განჯისა და ჰოვეიზის ზარაფხანებში. ბ. გ-ის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1629/30 – 1642 (დაცულია საქართვ. სახელმწ. მუზეუმში).

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; კ ა პ ა ნ ა ძ ე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1970; ქ უ თ ე ლ ი ა თ., კახეთის სამეფოს უცნობი ზარაფხანა, «ძეგლის მეგობარი», 1970, № 23; მ ი ს ი ვ ე , Грузия и Сефевидский Иран (По данным нумизматики), Тб., 1979.

ი. ჯალაღონია